Silk

კრიპტო აქტივით სარგებლობის
წესები და პირობები

1. **შესავალი დებულებები**

1.1. წინამდებარე წესები და პირობები (შემდგომში - **წესები და პირობები** ან **ხელშეკრულება**) არეგულირებს **ბანკსა** და **მომხმარებელს** შორის, ბანკის არხების გამოყენებით, **ვირტუალური აქტივ(ებ)ის** ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშრებულ ურთერთობებს, წესებსა და პირობებს.

1.2. წინამდებარე **წესები და პირობები,** მისი ყველა დანართი, ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება).

1.3. წინამდებარე **პირობებზე** თანხმობით, მისი გაცნობით ან/და **მომხმარებლის** მიერ, **კრიპტო აქტივების ბანკის არხ(ებ)ის** გამოყენებით **ყიდვა-გაყიდვის** სშემთხვევაში **მომხმარებელზე** ვრცელდება **ხელშეკრულებით** განსაზვრული პირობები.

1.4. **კლიენტი** იცნობს და ეთანხმება ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების პირობებს, SilkApp-ით სარგებლობის წესებსა და პირობებს და ბანკის AML და კონფიდენციალობის პოლიტიკა(ებ)ს რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: http://silkbank.ge.

2. **ტერმინთა განმარტებები**

2.1. **აპლიკაცია/მობაილ ბანკი** - **ბანკის** მობილური **აპლიკაცია** (დისტანციური არხი), რომელიც გამოიყენება კლიენტის მიერ ბანკის პროდუქტებითა და სერვისებით სარგებლობის მიზნით;

2.2. **ბანკი** - სს „სილქ ბანკი" (ს/კ 201955027)

2.3. **მომხმარებელი/კლიენტი** - **ბანკის სისტემაში** რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირ(ებ)ი, რომელიც სარგებლობს **ბანკის** დისტანციური არხით (მობაილ ბანკი);

2.4. **ანგარიშ(ებ)ი** - **კლიენტის** სახელზე **ბანკში** გახსნილი მიმდინარე **ანგარიშ(ებ)ი;**

2.5. **ბანკის სისტემა** - **ბანკის** პროგრამული უზრუნველყოფა;

2.6. **დავალება** - **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით წარდგენილი დავალება **კრიპტო აქტივის** ყიდვის ან/და გაყიდვის თაობაზე.

2.7. **ტრანზაქცია/ოპერაცია** - ფულადი სახსრების მოძრაობა **კრიპტო აქტივის** შეძენის ან/და გაყიდვის მიზნით;

2.8. **კრიპტო აქტივი** - **კონვერტირებადი ვირტუალური აქტივი** (მაგალითად: BTC, ETH, SOL, BNB, XRP, TONCOIN და სხვა..), რომელსაც ბაზარზე აქვს ექვივალენტი ღირებულება ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა **ვირტუალურ აქტივში** ან/და ფინანსურ ინსტრუმენტში, რომელშიც შესაძლებელია განხორციელდეს მისი გადაცვლა;

2.9. **მიმი ქოინები** - სპეკულატიური **კრიპტო აქტივი,** რომელიც ღირებულებას იღებს ტენდენციებიდან და არ არის გამყარებული.

2.10. **მომსახურე საფულე - კრიპტო აქტივის საფულე,** რომელიც მუდმივად დაკავშირებულია ინტერნეტთან და გამოიყენება **კრიპტო აქტივის** სწრაფად მართვისა და ტრანზაქციების განსახორციელებლად;

2.11. **USDT** - **კრიპტო აქტივი,** რომელიც შექმნილია აშშ დოლარის ექვივალენტური რაოდენობით და როგორც წესი, მისი ღირებულება განისაზღვრება დაახლოებით 1 (ერთი) აშშ დოლარის ოდენობით;

2.12. **კონვერტირებადი ვირტუალური აქტივი/კრიპტო აქტივი** - **კლიენტის** უნიკალური იდენტიფიკატორის ჭრილში არსებული დადებითი ნაშთი BTC, ETH, SOL, BNB, XRP, TONCOIN ან სხვა **კრიპტო აქტივში,** რომელიც კონვერტირებადია ფულად ვალუტაში;

2.13. **ვირტუალური/კრიპტო აქტივის ყიდვა/გაყიდვა** - **კლიენტის** მიერ შესრულებული ოპერაცია, რომლის მიზანია **კლიენტის** მიმდინარე **ანგარიშზე** არსებული თანხით **ბანკისაგან კრიპტო აქტივის** შეძენა, ან/და **კრიპტო აქტივის** გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის კლიენტის მიმდინარე **ანგარიშზე** ჩარიცხვა.

2.14. **ფულადი ვალუტა/fiat/ფული/ფულადი სახსრები** - **ფულადი** ვალუტა, რომელიც ემიტირებულია შესაბამისი სახელმწიფოს მიერ და შესაძლოა არსებობდეს ნაღდი ან უნაღდო ფორმით.

3. **კრიპტო აქტივ(ებ)ის მართვასთან დაკავშირებული რისკები:**

3.1. ***<u>ზოგადი პირობები:</u>***

3.1.1. **კრიპტო აქტივების ყიდვა-გაყიდვის** ოპერაციებით სარგებლობამდე, **კლიენტი** ვალდებულია გულდასმით გაეცნოს **კრიპტო აქტივების** მართვასთან დაკავშირებული რისკების შესახებ გაფრთხილებას და მხოლოდ მისი სრულად და ჯეროვნად გაცნობისა და გაცნობიერების შემდგომ განახორციელოს **კრიპტო აქტივების ყიდვა-გაყიდვის** ოპერაციები.

3.1.2. ეს მუხლი ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა დოკუმენტი არ ითვალისწინებს **კრიპტო აქტივებით** სარგებლობასთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო რისკს და მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა. **ბანკი** მკაცრად ურჩევს **კლიენტებს** მიიღონ პროფესიონალური კონსულტაცია(ები) და სათანადო ცოდნა/გამოცდილება ციფრულ აქტივებში ინვესტირების გადაწყვეტილების მიღებამდე, ვინაიდან ბლოკჩეინის ქსელები ჯერ კიდევ ადრეულ განვითარების ეტაპზეა და შეიძლება მომავალში ძირეულად შეიცვალოს, ხოლო **კრიპტო აქტივებს** ახასიათებს მერყევი ღირებულება. შესაბამისად **ბანკის** მიერ მითითბული რისკები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს ან/და დამატებითი რისკებიც გაჩნდეს.

3.1.3. **კლიენტები** ასევე უნდა გაეცნონ **მესამე პირების** მიერ მომზადებულ **კრიპტო აქტივების** მართვასთან დაკავშირებული რისკების გამჟღავნების დოკუმენტებს, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას ზოგად რისკებთან ან/და კონკრეტულ ციფრულ/**კრიპტო აქტივებთან** დაკავშირებით.

3.2. ***<u>ზოგადი რისკები:</u>***

3.2.1. **კრიპტო აქტივებს** შეიძლება ჰქონდეს ფინანსური და არაფინანსური უფლებები, მოთხოვნები ან ვალდებულებები, რომლებიც ტრადიციული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის არ არის დამახასიათებელი. **კლიენტმა** უნდა უზრუნველყოს, რომ სრულად ესმოდეს ამ აქტივების ბუნება ინვესტირების გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.2.2. **კრიპტო აქტივების** ღირებულება ძირითადად გამომდინარეობს მათთან დაკავშირებული უფლებებიდან.

3.2.3. **ბანკს** შეუძლია ნებისმიერ დროს შეზღუდოს ან შეაჩეროს ამ უფლებების განხორციელება, რაც ნიშნავს, რომ **კლიენტმა** შეიძლება ვერ შეძლოს ზოგიერთი უფლების გამოყენება.

3.2.4. **კრიპტო აქტივები** შეიძლება წარმოადგენდნენ გადახდის საშუალებას, მომსახურებაზე წვდომის უფლებას ან საქონლის მიწოდების უფლებას, რაც შეიძლება იყოს სრულიად უსარგებლო **კლიენტისთვის,** თუ მისი მიზანი მხოლოდ მოგების მიღებაა.

3.3. ***<u>ტექნოლოგიური რისკები</u>***

3.3.1. **კრიპტო აქტივები** ემყარება განაწილებული ციფრული ლეჯერის ტექნოლოგიას (DLT), რომელიც ჯერ კიდევ განვითარებადია.

3.3.2. მომავალში შეიძლება მოხდეს ტექნოლოგიური ცვლილებები და ინოვაციები, რაც გავლენას მოახდენს **აქტივების** უსაფრთხოებაზე, ღირებულებასა და ვაჭრობის შესაძლებლობაზე.

3.3.3. კიბერშეტევები, ჰაკერული თავდასხმები და თაღლითობები სერიოზული საფრთხეა **კრიპტო აქტივებისთვის.**

3.3.4. შეცდომით შეყვანილმა ბლოკჩეინის მისამართებმა შეიძლება გამოიწვიოს აქტივების სრულ დაკარგვა, რადგან ტრანზაქციები შეუქცევადია.

3.3.5. მიუხედავად იმისა რომ ვცდილობთ, რომ **აპლიკაცია** და **კრიპტო აქტივების** ყიდვა-გაყიდვისთვის განკუთვნილი პლატფორმა ხელმისაწვდომი იყოს უწყვეტ რეჟიმში, ვერ ვიძლევით გარანტიას, რომ ისინი ყოველთვის შეუფერხებლად იმუშავებენ.

3.3.6. ინტერნეტ-შეერთების პრობლემებმა ან/და **აპლიკაციის** ძველი ვერსიის ქონამ შეიძლება შეაფერხოს თქვენი წვდომა **კრიპტო აქტივების** მართვაზე.

3.4. ***<u>სამართლებრივი და მარეგულირებელი რისკები</u>***

3.4.1. **კრიპტო აქტივების** მარეგულირებელი ჩარჩო მუდმივად იცვლება და სხვადასხვა იურისდიქციებში შეიძლება განსხვავებული იყოს.

3.4.2. კანონებისა და რეგულაციების ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს **კრიპტო აქტივების** ფასებზე, რაც შეიძლება აისახოს თქვენს მოგებასა და დანაკარგებზე.

3.4.3. სამართლებრივი ცვლილებებმა შესაძლოა შეზღუდოს ან აკრძალოს **კრიპტო აქტივების** გამოყენება, მათ შორის **კრიპტო აქტივების ყიდვა-გაყიდვა** და გამოიწვიოს მათ ღირებულების შემცირება ან სრული დაკარგვა.

3.4.4. მარეგულირებელი ცვლილებები შესაძლოა გავლენას ახდენდეს ჩვენი არხებით **კრიპტო აქტივების** ყიდვა-გაყიდვაზე რაზეც, შესაძლებლობის ფარგლებში, წინასწარ შეგატყობინებთ.

3.5. ***<u>საბაზრო/საინვესტიციო რისკები</u>***

3.5.1. **კრიპტო აქტივით** ვაჭრობას (trading) თან ახლავს კაპიტალის დაკარგვის რისკი. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება სრულად დაკარგოთ თქვენი საწყისი ინვესტიცია.

3.5.2. **კრიპტო აქტივების** ღირებულება შეიძლება სწრაფად და მკვეთრად შეიცვალოს, რის გამოც **კრიპტო აქტივების** ყიდვა/გაყიდვა მაღალ სპეკულაციურ რისკს შეიცავს. თქვენ მიერ შეენილი **კრიპტო აქტივის** ღირებულება შესაძლოა დაეცეს ისევე, როგორც გაიზარდოს და შესაძლოა უკან ნაკლები თანხა დაიბრუნოთ, ვიდრე თავდაპირველად დააბანდეთ. რაც ნიშნავს, რომ თქვენი **კრიპტო აქტივების** ღირებულებაც და შესაბამისი მოგება/ზარალიც შეიძლება მოულოდნელად შეიცვალოს.

3.5.3. მომხმარებლების ნდობის დაკარგვა, კიბერშეტევები და რეგულაციების ცვლილებები არის გარემოებები რომლებმაც შეიძლება დამოუკიდებლად მნიშვნელოვნად იმოქმედოს ბაზარზე.

3.5.4. ბაზრის ლიკვიდობის დეფიციტმა შეიძლება შეაფერხოს **კლიენტის** შესაძლებლობა გაყიდოს ან შეიძინოს **კრიპტო აქტივები** შესაბამის ფასად.

3.5.5. ფინანსური ინსტრუმენტების წარსული შესრულება არ წარმოადგენს მისი მომავალი შესრულების გარანტიას.

3.5.6. ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ და ვერ უზრუნველვყოფთ ფინანსური ინსტრუმენტების ფასებს.

3.5.7. განსაკუთრებით მაღალი მერყევობის დროს, შესაძლებელია მოხდეს ფასების "სლიპაჟი" .

3.5.8. ყველა **კრიპტო აქტივი** ვერ იქნება მარტივად გასაყიდი.

3.5.9. **კრიპტო აქტივების** ბაზარი გლობალურად ძირითადად დაურეგულირებელია, რაც ზრდის ფინანსური დანაკარგის რისკს ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა კიბერ თავდასხმა, ფინანსური დანაშაული და კომპანიის გაკოტრება.

3.5.10. **სპეკულატიური კრიპტო აქტივები** (MEME Coin) შესაძლოა ნაკლებად ლიკვიდური იყოს და ვერ მოხდეს მისი/მათი გაყიდვა.

3.5.11. **მიმი კრიპტო აქტივები (MEME coins**) შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი ვაჭრობისთვის. მაღალი რისკიანობის, დაბალი ლიკვიდობისა და შესაძლო დელისტინგის გამო.

3.6. ***<u>ფინანსური რესურსები</u>***

3.6.1. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ და უზრუნველყოთ, რომ გაქვთ საკმარისი ფინანსური რესურსები, რათა განახორციელოთ **კრიპტო აქტივების** ყიდვა-გაყიდვა **ბანკის** ან/და სხვა კრიპტო პლატფორმაზე.

3.6.2. უნდა გქონდეთ შესაძლებლობა, გაუძლოთ პოტენციურ დანაკარგებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას სავაჭრო აქტივობიდან.

3.6.3. არ უნდა დაეყრდნოთ იმ ვარაუდს, რომ მოგება გენერირდება საკრედიტო ვალდებულებების გასასტუმრებლად.

3.6.4. არ უნდა ისესხოთ ფული (მათ შორის, სესხები და საკრედიტო ბარათები) საინვესტიციო პლატფორმაზე ინსტრუმენტების შესაძენად.

3.7. ***<u>კონფიდენციალურობის რისკები</u>***

3.7.1. **კრიპტო აქტივების** ტრანზაქციები საჯაროდ იწერება ბლოკჩეინზე, რაც ნიშნავს, რომ შესაძლოა **მესამე მხარეებმა** გამოიყენონ ეს მონაცემები.

3.7.2. **ბანკი** არ აკონტროლებს ბლოკჩეინ ქსელებს, ამიტომ **კლიენტმა** უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი ინფორმაცია შეიძლება გახდეს საჯარო.

3.8. ***<u>არანაირი საინვესტიციო რჩევა</u>***

3.8.1. **ბანკი** არ იძლევა რჩევებს და რეკომენდაციებს კონკრეტული ინსტრუმენტების ვარგისიანობასთან დაკავშირებით.

3.8.2. შესაძლოა, **ბანკის აპლიკაციაში** ზოგჯერ მოგაწოდოთ ფაქტობრივი ინფორმაცია ინსტრუმენტების შესახებ, მაგრამ ეს ინფორმაცია არ უნდა იქნას აღქმული როგორც საინვესტიციო რჩევა, რეკომენდაცია ან მოწოდება კონკრეტული **კრიპტო აქტივის** შეძენის თაობაზე.

3.8.3. თუ ეჭვი გეპარებათ, არის თუ არა კონკრეტული ინსტრუმენტი შესაფერისი თქვენი პირადი ფინანსური მდგომარეობისთვის, უნდა მიმართოთ დამოუკიდებელ ფინანსურ მრჩეველს.

3.9. ***ინფორმაციის მიწოდება***

3.9.1. **ბანკის აპლიკაციის** საშუალებით შესაძლოა მიიღოთ ფინანსური და საბაზრო მონაცემები, სიახლეები, ანალიტიკოსების მოსაზრებები, კვლევითი ანგარიშები და სხვა მონაცემები, რომლებიც **მესამე მხარისგან** არის მოწოდებული.

3.9.2. ეს მონაცემები მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა და არ ითვალისწინებს თქვენს პირად ფინანსურ მიზნებს.

3.9.3. ჩვენ ვხელმძღვანელობთ პრინციპით, რომ ბაზრის მონაცემები უნდა გამოიყენოთ დამოუკიდებელი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად.

3.10. ***საფინანსო ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა***

3.10.1. **ბანკი** არ იძლევა გარანტიას, რომ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტები ყოველთვის იქნება ხელმისაწვდომი საინვესტიციო პლატფორმაზე.

3.10.2. **ბანკს** უფლება აქვს დაამატოს ან ამოიღოს ინსტრუმენტები პლატფორმიდან.

3.11. ***კრიპტო აქტივებთან დაკავშირებული სპეციფიკური რისკები და რეკომენდაციები:***

3.11.1. მნიშვნელოვანია, რომ გესმოდეთ სხვადასხვა ტიპის **კრიპტო აქტივებისა** და კრიპტო პროდუქტების უნიკალური რისკები:

3.11.1.1. **მიმი კრიპტო აქტივები (Meme Coin):** მიმი **ქოინები,** (მაგალითისთვის როგორიცაა DOGE Coin), იღებენ თავიანთ ღირებულებას ონლაინ ტენდენციებიდან, რაც განსაზღვრავს გარკვეულ სპეციფიკურ რისკებს:

- ფასის მერყევობა: სწრაფი და არაპროგნოზირებადი ფასის მერყეობა ხშირია, სადაც ღირებულება დამოკიდებულია საზოგადოებრივ ინტერესზე, სოციალური მედიის ტენდენციებზე და სპეკულაციებზე.
- ბაზრის მანიპულაცია: მაღალი მოწყვლადობა საბაზრო მანიპულაციების მიმართ, როგორიცაა "pump-and-dump", სადაც ფასი შეიძლება მყისიერად დაეცეს.
- გამჭვირვალობის ნაკლებობა: დეველოპერი გუნდისა და ფინანსური მონაცემების შესახებ შეზღუდული ინფორმაცია ართულებს ტრადიციული საბაზრო შეფასების ჩატარებას.
- ემოციური ინვესტირება: ემოციური რეაქციები შეიძლება გამოიწვიოს იმპულსური გადაწყვეტილებები და გაზარდოს თქვენი დანაკარგები.

3.11.1.2. შეიძლება ვერ შეძლოთ ინვესტიციის გაყიდვა, როცა გინდათ:

- არ არსებობს გარანტია, რომ ნებისმიერ დროს შეძლებთ თქვენი **კრიპტო აქტივების** გაყიდვას.
- **კრიპტო აქტივის** გაყიდვის შესაძლებლობა დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდებაზე იმ მომენტში.
- ტექნიკური ხარვეზები, კიბერთავდასხმები და ფინანსების არასწორი მართვა შეიძლება გაყიდვის პროცესში შეფერხებას იწვევდეს.

3.11.1.3. **კრიპტო აქტივებში** ინვესტირება რთული და კომპლექსურია:

- **კრიპტო აქტივებში** ინვესტირება შეიძლება იყოს რთული გასაგები, რაც ართულებს ინვესტიციასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას.
- გააკეთეთ საკუთარი კვლევა ინვესტირებამდე.

3.11.1.4. არ ჩადოთ მთელი ფული ერთ ინვესტიციაში

- ყველა ფულის ერთ **კრიპტო აქტივში** დაბანდება მაღალი რისკის მატარებელია.
- ინვესტიციების დივერსიფიკაცია (სხვადასხვა აქტივებში განაწილება) ამცირებს მთლიან რისკს.
- რეკომენდირებულია, რომ მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებში თქვენი თანხის 10%-ზე მეტი არ დააბანდოთ (დებულება მათ შორის არ გულისხმობს რეკომენდაციას განახორციელოთ მთლიანი თანხის 10%-ის ინვესტირება **კრიპტო აქტივებში**).

3.11.1.5. **კრიპტო აქტივების** რისკები განსხვავდება

- ყველა **კრიპტო აქტივს** ერთნაირი რისკი არ აქვს.
- სანამ ინვესტირებას გადაწყვეტთ, გაეცანით **კრიპტო აქტივების** სპეციფიკურ რისკებს, რათა უკეთ გაიგოთ, რა რისკები ახლავს კონკრეტულ **აქტივებს.**

4. **განცხადებები და გარანტიები**

4.1. **კლიენტი** წინამდებარე **პირობებზე** თანხმობის გამოხატვით ან/და პირობებით გათვალისწინებული **პროდუქტებით,** მათ შორის **კრიპტო აქტივების** ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

4.1.1. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს ან სხვა ფორმით დაეთანხმოს და შეასრულოს ამ **ხელშეკრულებით** ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და განაცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

4.1.2. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მას აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება **კრიპტო აქტივებით** სარგებლობასთან/ვაჭრობასთან დაკავშირებით, იცნობს ყველა დაკავშირებულ რისკებს, მათ შორის გაცნობილია **ბანკის** მიერ გამჟღავნებულ რისკებს და რომ მას უნარი შესწევს შეაფასოს **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე **კრიპტო აქტივებით** სარგებლობის/ ვაჭრობის არსი, რისკები და შესაფერისობა. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ მან იცის, აცნობიერებს და შეუძლია იკისროს **კრიპტო აქტივებთან** დაკავშირებული რისკები. **კლიენტი** ადასტურებს, რომ მას საკმარისად მიუწვდება ხელი ინფორმაციაზე და რომ მან კონსულტაცია გაიარა საკუთარ იურიდიულ, საგადასახადო, ბიზნეს, საინვესტიციო, ფინანსურ მრჩევლებთან და ბუღალტრებთან იმ ოდენობით, რასაც იგი თვლის აუცილებლად და **კრიპტო აქტივებით** სარგებლობასთან/ყიდვა გაყიდვასთან გადაწყვეტილება მიიღო/მიიღებს საკუთარი **(კლიენტის)** დასკვნებიდან და ასეთი კონსულტანტების რჩევებიდან გამომდინარე და არა **ბანკის** მიერ გამოხატული ნებისმიერი შეხედულებიდან გამომდინარე.

4.1.3. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;

4.1.4. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან **კლიენტის** სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, **ბრძანება,** მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია **კლიენტი.** ამ **ხელშეკრულების** პირობებით განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის **ხელშეკრულებას,** კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს **კლიენტი;**

4.1.5. **კლიენტი** არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე ან/და მის მიერ **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული სხვა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

4.1.6. წინამდებარე **პირობების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

4.1.7. წინამდებარე **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობითაც შესაძლოა **ბანკს** მიადგეს მატერიალური ან სხვა სახის ზიანი/ზარალი და დაიცავს **ბანკს** ამგვარი სახის ზიანისაგან/ზარალისაგან.

4.1.8. წინამდებარე **პირობების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის არ განახორციელებს იმგვარ ქმედებებს, რომელთა შედეგადაც შესაძლოა **ბანკს** მიადგეს ნებისმიერი სახის ზიანი/ზარალი და ასეთი შედეგის დადგომის შემთხვევაში აცნობიერებს **ბანკის** უფლებამოსილებას გამოიყენოს კანონმდებლობით ან/და წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ღონისძიებები.

4.1.9. **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი მხრიდან ადგილი არ აქვს/ექნება არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს (ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და სხვა), მათ შორის და არამხოლოდ: ფულის გათეთრება, ტერორიზმი, ნარკოტიკული დანაშაული, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ, დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წეს(ებ)ის წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ, დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და ფულად-საკრედიტო სისტემაში.

4.1.10. არ წარმოადგენს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციით ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვით/აკრძალვით (მათში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დასანქცირებულ პირს ან/და ასეთ პირთან საქმიანი, შრომითი, ბიზნეს, ოჯახური, ნათესაური ან სხვა ტიპის კავშირით დაკავშირებულ პირს.

4.1.11. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ბანკის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **პირობების** ან/და **ბანკთან** დადებული სხვა ხელშეკრულების დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება, კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

4.1.12. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული გადასახადი, ქრთამი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ხელშეკრულებას** ან/და **ბანკთან** დადებულ სხვა ნებისმიერ ხელშეკრულებას.

4.1.13. **ხელშეკრულების** დადებისას **ბანკის** ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **კლიენტის** ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება;

4.1.14. სრულად გაეცნო და მისთვის მისაღებია წინამდებარე **წესებისა და პირობების** პირობები და ტარიფები და ადასტურებს, რომ **პირობებით** განსაზღვრული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

4.1.15. **კლიენტი** აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია ბანკის ვებგვერდზე www.silkbank.ge განთავსებულ ფიზიკური პირების მომსახურების ხელშეკრულებას და მის დანართ(ებ)ს.

4.2. **კლიენტის** მიერ ელექტრონული ფორმით გაკეთებულ თანხმობას (მაგ. ეკრანზე თანხმობის ღილაკის დაჭერას, მობილური ტელეფონის ნომერზე/ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის **ბანკისთვის** მიწოდებას ან/და სხვა ქმედებას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს **კლიენტის** ნებას) ან **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას/დათანხმებას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

4.3. აღნიშნული განცხადებები ძალაშია ამ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

4.4. ამ **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ **ხელშეკრულებაში** მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.

4.5. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება **ბანკის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), **კლიენტი** თანახმაა **ბანკს** აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი **ზარალისაგან** (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისაგან, ხარჯისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისაგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისაგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. წინამდებარე პუნქტის მიზნების უზრუნველსაყოფად **კლიენტი** აცნობიერებს **ბანკის** უფლებამოსილებას წინასწარი შეტყობინების გარეშე უაქცეპტოდ დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიში, შეზღუდოს სერვისებზე ან/და აქტივებზე **კლიენტის წვდომა**, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოწეროს თანხები ან/და **კრიპტო აქტივები** და მიმართოს აღნიშნული აქტივები (როგორც **ფულადი** ისე **კრიპტო აქტივები**) **მესამე პირების** ან **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანებ(ებ)ის დასაფარად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. **კრიპტო აქტივის ყიდვა-გაყიდვა**

5.1. **ბანკის** არხ(ებ)ით **კრიპტო აქტივის ყიდვა-გაყიდვა** გულისხმობს **აპლიკაციის** მეშვეობით **მომხმარებლის** მიერ **ბანკისაგან კრიპტო აქტივის ყიდვა-გაყიდვას.**

5.2. **ბანკის კლიენტების** მიერ **კრიპტო აქტივების** ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება **ბანკის** მართვაში არსებული დისტანციური მომსახურების პლატფორმის - **აპლიკაციის** მეშვეობით, ხოლო **ბანკის** მიერ **კლიენტის** საკუთრებაში არსებული **კრიპტო აქტივების** შენახვა/განთავსება ხდება **მესამე პირ(ებ)ის კრიპტო საფულეზე, ბანკის** ნომინალურ მფლობელობაში არსებული **კრიპტო აქტივების** სახით.

5.3. **კრიპტო აქტივის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების** შესრულება შეუძლია **ბანკის** იმ **მომხმარებელს,** რომელსაც გააჩნია **ბანკში** აქტიური მიმდინარე **ანგარიში.**

5.4. **კრიპტო აქტივის ყიდვა-გაყიდვის** ოპერაციების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ **ბანკის** მობილური **აპლიკაციის** მეშვეობით.

5.5. **კრიპტო აქტივის** ყიდვა/გაყიდვის ოპერაციის ლიმიტები და საკომისიოები განისაზღვრება წიმდებარე პირობების დანართით N1,

5.6. ***<u>კრიპტო აქტივის ყიდვა:</u>***

5.7. **კრიპტო აქტივის** ყიდვა გულისხმობს **კლიენტის** მიერ **ბანკისაგან კრიპტო აქტივის** შეძენას შემდეგი პირობებისა და პროცესის გათვალისწინებით:

5.7.1. **კრიპტო აქტივის** შესაძენად **კლიენტი აპლიკაციის** მეშვეობით აინიცირებს **ბანკის** მიერ შეთავაზებული **კრიპტო აქტივის** ყიდვის ოპერაციას;

5.7.2. **კრიპტო აქტივის შეძენის/ყიდვის** ინიცირებისას **კლიენტს ბანკისაგან** ეძლევა **გარკვეული** დრო/პერიოდი, რა პერიოდის განმავლობაშიც **კლიენტის** მიერ **კრიპტო აქტივის** ყიდვის ინიცირების მომენტიდან აღნიშნული დროის გასვლამდე უფიქსირდება **კრიპტო აქტივის** შეძენის ის ღირებულება/კურსი, რომელიც ნაჩვენები იყო შეძენის ინიცირების მომენტში. **კრიპტო აქტივისათვის** შეძენის პროცესის სრულად გავლის, დავალების დადასტურებისა და **კლიენტის** მიერ შესაბამისი ღირებულების (საკომისიოს ჩათვლით) გადახდის შემთხვევაში, **კლიენტი ბანკისაგან** მოიპოვებს მის მიერ შეძენილი ოდენობის **კრიპტო აქტივზე** საკუთრების უფლებას.

5.7.3. **კლიენტის** მიერ შეძენლი **კრიპტო აქტივები** წარმოადგენს **კლიენტის** საკუთრებას, თუმცა მათი ფლობა/შენახვა ხორციელდება **ბანკის** მიერ.

5.7.4. **ბანკი** ულფებამოსილია **კლიენტის** საკუთრებაში არსებული, **ბანკისაგან** შეძენილი **კრიპტო აქტივების** შენახვა უზრუნველყოს როგორც საკუთარ ინფრასტრუქტურაში, ისე მესამე პირებთან არსებულ **ბანკის ვირტუალური (კრიპტო) აქტივ(ებ)ის საფულეზე.**

5.8. ***<u>კრიპტო აქტივის გაყიდვა:</u>***

5.8.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკს** მიყიდოს მის საკუთრებაში არსებული, **ბანკისაგან** შეძენილი **კრიპტო აქტივები,** რომლებიც იმყოფება **ბანკის** ნომინალურ მფლობელობაში.

5.8.2. ზემოთ აღნიშნული **კრიპტო აქტივების** გაყიდვა ხორციელდება **ბანკის** მობილური **აპლიკაციის** მეშვეობით.

5.8.3. **კრიპტო აქტივის** გასაყიდად **კლიენტი აპლიკაციის** მეშვეობით აინიცირებს **ბანკის** მფლობელობაში არსებული **კლიენტის კრიპტო აქტივის** გაყიდვის ოპერაციას.

5.8.4. **კრიპტო აქტივის** გაყიდვის ოპერაციის ინიცირებისას **კლიენტს ბანკისაგან** ეძლევა **გარკვეული** დრო/პერიოდი, რა პერიოდის განმავლობაშიც **კლიენტის** მიერ **კრიპტო აქტივის** გაყიდვის ინიცირების მომენტიდან აღნიშნული დროის გასვლამდე უფიქსირდება **კრიპტო აქტივის** გაყიდვის ის ღირებულება/კურსი ლარში/აშშ დოლარში (**კლიენტის** მიერ არჩეული ვალუტის შესაბამისად), რომელიც ნაჩვენები იყო გაყიდვის ინიცირების მომენტში. **კრიპტო აქტივისათვის** შეძენის პროცესის სრულად გავლის, დავალების დადასტურების შემთხვევაში, თუ **ბანკის** მფლობელობაში იმყოფება **დავალების** შესაბამისი ოდენობის, **კლიენტის** საკუთრებაში მყოფი შესაბამისი **კრიპტო აქტივი, ბანკი** გამოისყიდის **კლიენტისაგან** შესაბამისი კურსითა და ოდენობით **კრიპტო აქტივებს** და უზრუნველყოფს **ბანკის** მიერ მისაღები **საკომისიოს** პროპორციული ოდენობის გამოკლებით, შესაბამისი ოდენობის ლარის/აშშ დოლარის (**კლიენტის** მიერ არჩეული ვალუტის შესაბამისად) ჩარიცხვას **კლიენტის** მიმდინარე **ანგარიშზე,**

5.9. ***<u>ხელმისაწვდომი კრიპტო აქტივები</u>***

5.9.1. **კრიპტო აქტივის ბანკისაგან** ყიდვა ან **ბანკისათვის** მიყიდვა ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ მხარდაჭერილი **კრიპტო აქტივების** ფარგლებში, რომლებიც ნაჩვენებია **აპლიკაციაში. ბანკი** უფლებამოსილია დაამატოს ახალი **კრიპტო აქტივების** მხარდაჭერა ნებისმიერ დროს და წინასწარი გაფრთხილების გარეშე. დროდადრო, შესაძლოა გაუქმდეს არსებული **კრიპტო აქტივის** ყიდვა/გაყიდვის შესაძლებლობა (დელისტინგი).

5.10. **კრიპტო აქტივის** დელისტინგის შემთხვევაში:

5.10.1. ვეღარ შეძლებთ იმ **კრიპტო აქტივის** ყიდვას **ბანკის** არხებით;

5.10.2. **ბანკი** წინასწარ მისი შესაძლებლობის ფარგლებში გონივრული ვადით ადრე შეატყობინებს **კლიენტს** აღნიშნულის თაობაზე.

5.11. დელისტინგის ძალაში შესვლის დღეს, აღნიშნული **კრიპტო აქტივი** წაიშლება **აპლიკაციიდან.** თუ ამ დროისთვის **კლიენტს ბანკის ფლობაში** კვლავ აქვს დელისტინგებული **კრიპტო აქტივი, კლიენტი** ეთანხმება, რომ **ბანკი** უფლებამოსილია:

5.11.1. **კლიენტთან** შეთანხმების გარეშე განახორციელოს **ბანკის** მფლობელობაში არსებული **კრიპტო აქტივების** გაყიდვა იმ მომენტისათვის არსებული შესაბამისი **კრიპტო აქტივის** საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

5.12. **ბანკი** მაქსიმალურად ეცდება წინასწარ შეატყობინოს დელისტინგის შესახებ, თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ:

5.12.1. მოულოდნელად შეიცვალა კანონმდებლობა ან რეგულაცია, რომელიც ზეგავლენას ახდენს **კრიპტოაქტივის** რეგულატორულ სტატუსზე ან თუ **ბანკს** აღარ შეუძლია მისი მხარდაჭერა;

5.12.2. **კრიპტო აქტივმა** შეცვალა ფუნქციონირების წესი ან სახელწოდება;

5.12.3. **მესამე მხარეები,** რომელთანაც თანამშრომლობს **ბანკი კრიპტო აქტივების ყიდვა-გაყიდვის** ან/და სხვა დაკავშირებული მომსახურებების გასაწევად, წყვეტენ ამ **კრიპტო აქტივის** მხარდაჭერას.

5.12.4. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, დელისტინგის სხვა შესაძლო მიზეზებია:

5.12.4.1. **კრიპტო აქტივისთვის** არსებული ლიკვიდობა არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს ან წარმოადგენს რისკს ჩვენთვის, ჩვენს მომხმარებლებისთვის ან ჩვენი პარტნიორებისთვის;

5.12.4.2. **კრიპტო აქტივი** მიდრეკილია ფასის მანიპულაციისკენ, მაგალითად თუ მას აქვს ძალიან დაბალი ღირებულება ან ლიკვიდობა;

5.12.4.3. **კრიპტო აქტივს** აქვს უსაფრთხოების სისუსტეები ან ის გახდა თაღლითობის ან სხვა ბოროტად გამოყენების საგანი.

5.13. ***<u>კრიპტო აქტივის ყიდვა გაყიდვის პროცესთან დაკავშირებული დამატებითი პირობები:</u>***

5.13.1. **კრიპტო აქტივის ყიდვა-გაყიდვის**ოპერაციების განსახორციელებლად,**კლიენტი** ვალდებულია ფლობდეს **ბანკში** აქტიურ მიმდინარე **ანგარიშებს** ლარსა და აშშ დოლარში.

5.13.2. ზემოთ აღნიშნული პირობები არ გულისხმობს **ბანკის** დაპირებას ან/და **კლიენტისათვის** რაიმე გარანტიების მიცემას, რომ **კრიპტო აქტივის** ყიდვის ან/და გაყიდვის პროცესი ნებისმიერ დროს იქნება ხელმისაწვდომი ან/და მყისიერად იქნება შესრულებლი **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი დავალება.

5.13.3. **ბანკი** მაქსიმალურად ორიენტირებულია უზრუნველყოს **კლიენტის** დავალ(ებ)ების შესრულება **კლიენტის** ინსტრუქციების შესაბამისად, თუმცა არ იძლევა გარანტიას, რომ:

5.13.3.1. **დავალება** შესრულდება მყისიერად, მოკლე ვადებში ან/და აუცილებლად იქნება შესრულებული.

5.13.3.2. **დავალება** შესრულდება იმ ფასად, რომელიც განსაზღვრული იყო დადასტურების დროს.

5.13.4. **კრიპტო აქტივის ყიდვის** ან/და **გაყიდვის** პროცესში **ბანკის** მიერ **მომხმარებლისათვის** კრიპტო აქტივის ყიდვა/გაყიდვის კურსის ფიქსაცია არ წარმოადგენს **ბანკის** ვალდებულებას და არ წარმოშობს **ბანკისათვის** რაიმე მოთხოვნის წაყენების საფუძველს აღნიშნული ოფციის არ არსებობის, გაუმართავობის, დროებით ხელმიუწვდომლობის ან/და არასწორად შესრულების შემთხვევაში.

5.13.5. **ბანკის** მიერ განსაზღვრული **კრიპტო აქტივის** ყიდვის ან გაყიდვის ღირებულება დინამიკურია, რაც ნიშნავს, რომ ფასი მუდმივად იცვლება და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე.

5.13.6. **ბანკის** მიერ განსაზღვრული ყიდვის/გაყიდვის ღირებულებები შეიძლება იყოს მოქმედი მხოლოდ გარკვეული დროით და/ან **კრიპტო აქტივების** გარკვეული მოცულობისთვის, და შესაძლოა განსხვავდებოდეს ფასებისგან, რომლებიც განსაზღვრულია სხვა კრიპტო პლატფორმებზე.

5.13.7. **კრიპტო აქტივის** ყიდვის ფასი შეიძლება არ იყოს იგივე, რაც გაყიდვის ფასი.

5.13.8. **ბანკის** მიერ განსაზღვრული ის **კრიპტო აქტივები,** რომელთა ყიდვა/გაყიდვა შესაძლებელია **ბანკის** არხების მეშვეობით ცვალებადია და შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე.

5.13.9. **კლიენტის** მიერ შეძენილ **კრიპტო აქტივებს ბანკი** ფლობს **კლიენტის** ნაცვლად, თუმცა **კრიპტო აქტივები** წარმოადგენს **კლიენტის** საკუთრებას.

6. **კრიპტო აქტივის გადარიცხვა (გადაცემა)**

6.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკის მობილური აპლიკაციის** მეშვეობით განახორციელოს **USDT კრიპტო აქტივის** გადარიცხვის ინიცირება სხვა კრიპტო **აქტივის საფულეზე**. **USDT კრიპტო აქტივის** გადარიცხვის ოპერაცია ხორციელდება შპს „დიჯიტალ ლეჯერ ტექნოლოჯის“ (ს/კ 431178218) **კრიპტო აქტივის საფულის** „Cryptal“-ის მეშვეობით.

6.2. **USDT კრიპტო აქტივის** გადარიცხვის ოპერაციის დასაინიცირებლად **კლიენტი** ირჩევს **ბანკში** არსებულ მიმდინარე **ანგარიშს** აშშ დოლარის ვალუტაში, საიდანაც უნდა მოხდეს გადასარიცხი (გადასაცემი) **კრიპტო აქტივის** შესაბამისი ოდენობის თანხის (US დოლარის) ჩამოჭრა;

6.3. **კრიპტო აქტივის** გადარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ **USDT კრიპტო აქტივის** სახით, რაც გულისხმობს მომხმარებლის მიერ **ბანკში** არსებული **ფულადი სახსრების** კონვერტაციას **USDT კრიპტო აქტივში** და **USDT კრიპტო აქტივის** გადარიცხვას სხვა **კრიპტო აქტივის საფულეზე.**

6.4. სავალდებულოა, **კლიენტის** მიერ არჩეულ მიმდინარე **ანგარიშზე** აშშ დოლარში, საიდანაც უნდა შესრულდეს **USDT კრიპტო აქტივის** გადარიცხვის (გადაცემის) ოპერაცია, იყოს ოპერაციის შესასრულებლად საკმარისი ოდენობის US დოლარის ექვივალენტური დადებითი ნაშთი.

6.5. **კრიპტო აქტივის** გადარიცხვა (გადაცემა) დაშვებულია მხოლოდ იმ **კრიპტო აქტივის საფულეზე,** რომელსაც აქვს Binance Smart Chain (BSC) ბლოკჩეინის მხარდაჭერა;

6.6. გამომდინარე იქიდან, რომ **კრიპტო აქტივის** გადარიცხვის ოპერაცია ხორციელდება მესამე პირის Cryptal-ის **კრიპტო საფულის** მეშვეობით და გადარიცხვის შესახებ ინფორმაციაში მიეთითება რომ გადარიცხვის ოპერაცია შესრულებულია Cryptal ის **კრიპტო საფულიდან.**

6.7. **კლიენტი** აცნობიერებს და ეთანხმება, რომ **ბლოკჩეინზე** შესრულებული ტრანზაქციების გამოთხოვა ან/და გაუქმება შეუძლებელია. შესაბამისად **ბანკი** მოკლებულია შესაძლებლობას გააუქმოს, უკან გამოითხოვოს ან/და რაიმე სახის დახმარება აღმოუჩინოს **კლიენტს,** მის **(კლიენტის)** მიერ ინიცირებული/დადასტურებული ოპერაციების გაუქმებაში/უკან გამოთხოვაში, **კრიპტო აქტივის** ან/და ფულადი სახსრების უკან დაბრუნებაში.

6.8. ზეამოაღნიშნულის გათვალისწინებით, **კლიენტი** ვალდებულია დარწმუნდეს, რომ **კრიპტო აქტივის** გადარიცხვის ოპერაცია არ მოდის წინააღმდეგობაში კანომდებლობასთან, არ არის მიმართული რაიმე კანონსაწინააღმდეგო აქტივობისთვის, მიმღები **საფულე** ან/და პირი არ წარმოადგენს უკანონო საქმიანობაში ჩართულ პირს, და მიმღები **კრიპტო საფულე/მისამართი** შეესაბამება BEP-20 ის სტანდარტს.

6.9. მომხმარებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტის** მიერ ინიცირებული **კრიპტო აქტივის** გადარიცხვის ოპერაციის მონიტორინგი და ნებისმიერი ხარვეზის, კანონმდებლობასთან, საერთაშორისო შეთანხმებებთან, **ბანკის** შეიდა პოლიტიკებთან და პროცედურებთან შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში ან/და თუ **ბანკის** შეხედულებით მიზანშეწონილია არღნიშნული ოპერაციის შეუსრულებლობა, ნებისმიერი უარი თქვას შესაბამისი ოპერაციის შესრულებაზე რაც არ წარმოშობს მომხმარებლის მხრიდადან რაიმე სახის მოთხოვნის ან/და პრეტენზიის საფუძველს და **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი კლიენტის დანაკარგზე, რაიმე სახის დავაზე, სასამართლო პროცესზე.

6.10. **კრიპტო აქტივის** გადაცემის ოპერაციებისათვის დადგენილი ტარიფები და ლიმიტები განსაზღვრულია წინამდებარე პირობების დანართი N1-ის შესაბამისად. ამასთან, **კლიენტი** ეთანხმება, რომ **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე შეცვალოს აღნიშნული ტარიფები ან/და ლიმიტები.

7. **. ბანკის უფლება უარი თქვას, შეაჩეროს, დაბლოკოს ან/და უკან დააბრუნოს ოპერაცია**

7.1. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის, სებ-ის შესაბამისი რეგულაციების, საერთაშორისო სანქციების რეჟიმის (მათ შორის, გაეროს, ევროკავშირის, OFAC-ის, გაერთიანებული სამეფოს HMT-ის სანქციების სიების) და **ბანკის** შიდა AML/CFT პოლიტიკ(ებ)ის საფუძველზე, **ბანკი** ცალმხრივად და წინასწარი შეტყობინების გარეშე უფლებამოსილია:

(ა) უარი თქვას **კლიენტის** მიერ ინიცირებულ ნებისმიერი **კრიპტო აქტივის** ყიდვის, გაყიდვის, გადარიცხვის ან სხვა ოპერაციის შესრულებაზე; (ბ) შეაჩეროს (suspend) ან გადაავადოს ოპერაციის შესრულება საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში — ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების, სანქციების გვერდის ავლის, თაღლითობის, ფასების მანიპულაციის ან სხვა უკანონო ქმედების ნიშნების არსებობისას; (გ) დაბლოკოს (freeze) **კლიენტის კრიპტო აქტივები**, მიმდინარე **ანგარიშები** და ყველა ასოცირებული აქტივი აღნიშნული ეჭვის გამოძიების ვადით, რომელიც არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ვადას; (დ) მოითხოვოს **კლიენტისგან** თანხის წარმომავლობის დადასტურება (source of funds), მთელი ქონებრივი მდგომარეობის წყაროს (source of wealth), ოპერაციის ეკონომიკური მიზნის და ბენეფიციარის დოკუმენტური დასაბუთება ნებისმიერ დროს — როგორც ურთიერთობის დასაწყისში, ისე მის განმავლობაში; (ე) დამოუკიდებლად ან უფლებამოსილ მესამე პირთან ერთად განახორციელოს მიმღები/გამგზავნი **კრიპტო აქტივის** საფულის მისამართის blockchain-ანალიზი და, ასეთი ანალიზის შედეგიდან გამომდინარე, შეწყვიტოს ან უარი თქვას ოპერაციის შესრულებაზე; (ვ) შეატყობინოს უფლებამოსილ ორგანოს (მათ შორის — საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური) ნებისმიერი საეჭვო ტრანზაქციის თაობაზე, ამასთან **კლიენტი** აცნობიერებს, რომ „tipping-off" აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარე, **ბანკი** არ არის უფლებამოსილი ან ვალდებული გაუმჟღავნოს **კლიენტს** აღნიშნული შეტყობინების ფაქტი ან მისი შინაარსი; (ზ) ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება** „დამატებითი გაფრთხილების ვადის" გარეშე, თუ **კლიენტი** ვერ უზრუნველყოფს გაძლიერებული სათანადო გულისხმიერების

(Enhanced Due Diligence, EDD) ფარგლებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენას **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში.

7.2. **კლიენტი** ცალსახად უარს ამბობს წინამდებარე პუნქტის (8.1.1) საფუძველზე **ბანკის** მიერ განხორციელებული ქმედებებიდან გამომდინარე ნებისმიერი ზიანის, ზარალის, არაპირდაპირი ზარალის, მიუღებელი შემოსავლის ან/და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **ბანკის** ქმედება გამიზნულია (intentional) ან წარმოადგენს უხეშ დაუდევრობას (gross negligence).

7.3. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ზომები ძალაში რჩება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც, იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებელია AML/CFT და სანქციების რეჟიმის მოთხოვნების შესრულებისათვის.

8. **USDT-თან დაკავშირებული სპეციფიკური რისკები და პასუხისმგებლობის განაწილება**

8.1. ზოგადი რისკებიდან დამოუკიდებლად, **USDT** ოპერაციასთან მიმართებით **კლიენტი** ცალსახად აცნობიერებს და ეთანხმება შემდეგს:

(ა) ეკვივალენტური ღირებულების რისკი (De-Peg Risk). მიუხედავად იმისა, რომ **USDT** ემიტირებულია როგორც აშშ დოლარის ეკვივალენტური სტაბილური აქტივი, მისი ფაქტობრივი ღირებულება შეიძლება დროებით ან მუდმივად გადაუხვიოს 1 აშშ დოლარის პარიტეტიდან. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ასეთი გადახრის შედეგად **კლიენტისთვის** მიყენებულ დანაკარგებზე.

(ბ) **ემიტენტის რისკი (Issuer Risk). USDT** ემიტირებულია Tether Limited-ის ან მისი უფლებამონაცვლეების მიერ (შემდგომში — „ემიტენტი"). ემიტენტი უფლებამოსილია, თავისი შიდა პოლიტიკის, მესამე ქვეყნის სანქციების რეჟიმის ან სასამართლო/ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, „black-list"-ში შეიტანოს ან „freeze"-ი დაადოს ნებისმიერი საფულის მისამართს, მათ შორის — **ბანკის** მომსახურე საფულის მისამართს ან მიმღების საფულის მისამართს. ასეთი ქმედებით გამოწვეული აქტივის სრული ან ნაწილობრივ დაკარგვის რისკი სრულად აწევს **კლიენტს** და **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი.

(გ) **ქსელის არჩევის რისკი (Network Selection Risk). USDT** გადარიცხვა დაშვებულია ექსკლუზიურად **Binance Smart Chain (BSC / BEP-20)** ქსელში. **კლიენტი** ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მიმღები საფულის მისამართი (ი) შეესაბამება BEP-20 სტანდარტს და (ii) მხარს უჭერს BSC ქსელში გამოგზავნილ **USDT**-ს. სხვა ქსელის (მაგ. TRC-20 / Tron, ERC-20 / Ethereum, OMNI) მისამართზე გადარიცხვა გამოიწვევს აქტივის სრულ და შეუქცევად დაკარგვას. აღნიშნული რისკი სრულად აწევს **კლიენტს**.

(დ) **საფულის მისამართის შეცდომის რისკი (Address Error Risk). კლიენტი** პირადად და სრულად აგებს პასუხს მის მიერ შეყვანილი მიმღები საფულის მისამართის სისწორეზე. არასწორი (მათ შორის — ერთი სიმბოლოს განსხვავების მქონე) მისამართის შეყვანა გამოიწვევს აქტივის შეუქცევად გადარიცხვას არასწორ მიმღებზე ან მის სრულ დაკარგვას. **ბანკს** ტექნიკურად არ აქვს შესაძლებლობა და, შესაბამისად, არ ეკისრება ვალდებულება, აღადგინოს, უკან გამოითხოვოს ან კომპენსირება გაუკეთოს ასეთ გადარიცხვას. „ცდის სისწორის" რწმენა, „სქრინშოთი", „მესამე პირის დადასტურება" და ნებისმიერი მსგავსი გარემოება არ წარმოშობს **ბანკის** ვალდებულებას.

(ე) **ქსელის საკომისიოს რისკი (Network Fee / Gas Fee Risk).** BSC ქსელში ოპერაციის შესრულებისათვის საჭიროა ქსელის საკომისიო (gas fee), რომლის ოდენობა განისაზღვრება ქსელის მიმდინარე დატვირთვით და **ბანკისგან** დამოუკიდებელია. **ბანკი** უფლებამოსილია ქსელის საკომისიო ცალკე ან საკუთარი საკომისიოს შემადგენელ ნაწილად დაუკავოს **კლიენტს** წინასწარი შეტყობინების გარეშე.

(ვ) **ტრანზაქციის შეუქცევადობის რისკი (Irreversibility Risk).** BSC ქსელში დადასტურებული (confirmed) ტრანზაქცია ტექნოლოგიურად შეუქცევადია. **ბანკი** არ არის უფლებამოსილი და ტექნიკურად არ აქვს შესაძლებლობა გააუქმოს, უკან გამოითხოვოს ან შეცვალოს დადასტურებული ტრანზაქცია. აღნიშნული ვრცელდება მათ შორის თაღლითობის, სოციალური ინჟინერიით გამოწვეული გადარიცხვის, „phishing"-ის, **კლიენტის** მოწყობილობაზე არასანქცირებული წვდომის და მსგავს ყველა შემთხვევაზე.

(ზ) **„smart contract"-ის რისკი. USDT** წარმოადგენს BSC ქსელზე განთავსებული smart contract-ის პროდუქტს. smart contract-ის კოდის შეცდომა, მისი ექსპლოიტი ან სხვა ტექნიკური დეფექტი შეიძლება გამოიწვიოს აქტივის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა. **ბანკი** არ არის smart contract-ის შემმუშავებელი ან ოპერატორი და არ არის პასუხისმგებელი აღნიშნული რისკიდან გამომდინარე დანაკარგზე.

(თ) **„fork"-ის და ქსელის ცვლილების რისკი.** BSC ქსელის „hard fork", კონსენსუსის მექანიზმის შეცვლა ან მსგავსი ფუნდამენტური ცვლილება შეიძლება გავლენა იქონიოს **კლიენტის** აქტივის ხელმისაწვდომობასა და ღირებულებაზე. **ბანკი** არ აგებს პასუხს ასეთი ცვლილებიდან გამომდინარე დანაკარგზე.

8.2. წინამდებარე 8.1. მუხლი წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას. **კლიენტი** ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნული რისკები მისთვის მიწოდებულია ცალსახა და გასაგები ფორმით **USDT**-ის პირველი ოპერაციის ინიცირებამდე.

9. **„cooling-off"-ის უფლების გამორიცხვა**

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული **კრიპტო აქტივის** ყიდვის, გაყიდვის ან გადარიცხვის ოპერაცია არ ექვემდებარება **კლიენტის** მიერ ცალმხრივ გაუქმებას ან/და მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე/გარიგებაზე.

10. **მომსახურე საფულის ინფრასტრუქტურა და ბლოკჩეინზე ოპერაციის იდენტიფიკაცია**

10.1. **კლიენტი** ცალსახად აცნობიერებს და ეთანხმება, რომ **USDT კრიპტო აქტივის** გადარიცხვის ოპერაციის ტექნიკური აღსრულებისათვის **ბანკი** იყენებს შპს „დიჯიტალ ლეჯერ ტექნოლოჯის" (ს/კ 431178218) მიერ ოპერირებადი Cryptal-ის მომსახურე („hot") საფულის ინფრასტრუქტურას (შემდგომში — „Cryptal Hot Wallet"), რომელიც **ბანკის** ნომინალურ მფლობელობაში არსებული **კრიპტო აქტივების** აგრეგირებულ შენახვასა და ბლოკჩეინის ქსელში ტრანზაქციების შესრულებას უზრუნველყოფს.

10.2. ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული მოწყობიდან გამომდინარე, **კლიენტი** ცალსახად აცნობიერებს და ეთანხმება, რომ Binance Smart Chain (BSC / BEP-20) ქსელში **კლიენტის** მიერ ინიცირებული **USDT**-ს გადარიცხვის ოპერაციის შესრულებისას:

(ა) ტრანზაქციის ბლოკჩეინზე საჯაროდ ხილული გამგზავნის („from") ველში აისახება **Cryptal Hot Wallet**-ის **კრიპტო საფულის** მისამართი და არა **ბანკის** ან **კლიენტის** ინდივიდუალური კრიპტო საფულის მისამართი;

(ბ) ტრანზაქციის ბლოკჩეინზე საჯაროდ ხილული მიმღების („to") ველში აისახება **კლიენტის** მიერ მითითებული მიმღები საფულის მისამართი;

(გ) ბლოკჩეინის პუბლიკურ მონაცემებში, მათ შორის — ბლოკჩეინის მკვლევარ პლატფორმებზე (blockchain explorers, მაგ. BscScan და ანალოგიურები), ოპერაციის გამგზავნად არ აისახება **ბანკის** ან **კლიენტის** სახელი, ვინაიდან ბლოკჩეინის ტექნოლოგია ოპერირებს მხოლოდ საფულის მისამართების დონეზე.

11.3. წინამდებარე 11.2 პუნქტით გათვალისწინებული ოპერაციული მოწყობა **არ ცვლის** შემდეგს:

(ა) ოპერაცია ყველა სამართლებრივი მიმართებით ჩაითვლება **ბანკის** მიერ **კლიენტის** დავალებით შესრულებულ ოპერაციად და **ბანკი** ინარჩუნებს **კლიენტის** წინაშე ოპერაციის შესრულების სამართლებრივ ვალდებულებას წინამდებარე **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით;

(ბ) ოპერაციის ოფიციალურ და უტყუარ დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება **ბანკის** შიდა **სისტემაში** დაფიქსირებული ჩანაწერი და **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** გაცემული ამონაწერი, რომელიც აღწერს ოპერაციის სრულ დეტალებს, მათ შორის — ბლოკჩეინის ტრანზაქციის ჰეშს (transaction hash / TxID), გამგზავნ და მიმღებ საფულის მისამართებს, ოპერაციის თანხას, საკომისიოს და თარიღ-დროს;

(გ) **კლიენტი** იღებს ვალდებულებას, ოპერაციის შესრულების ფაქტის დადასტურებისა და AML/KYC ან/და საგადასახადო მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს **ბანკს** შესაბამისი ამონაწერის მისაღებად და **არ** დაეყრდნოს მხოლოდ ბლოკჩეინის საჯარო ჩანაწერს, რომელიც **Cryptal Hot Wallet**-ს ასახავს გამგზავნად.

11.4. **კლიენტი** ცალსახად აცნობიერებს და ეთანხმება, რომ:

(ა) მიმღებმა მხარემ (მათ შორის — სხვა VASP-მა, კრიპტო ბირჟამ, საფინანსო ინსტიტუტმა ან ფიზიკურმა/იურიდიულმა პირმა) ბლოკჩეინზე **Cryptal Hot Wallet**-ის მისამართის გამგზავნად ხილვიდან გამომდინარე შესაძლოა მოსთხოვოს **კლიენტს** დამატებითი ინფორმაცია თანხის წარმომავლობის შესახებ, უარი თქვას აქტივის მიღებაზე, ან განახორციელოს სხვა მოქმედება თავისი შიდა AML/KYC პოლიტიკიდან გამომდინარე;

(ბ) ზემოაღნიშნული შედეგები წარმოადგენს მიმღები მხარის შიდა პოლიტიკით განპირობებულ გარემოებას, რომელიც სცდება **ბანკის** კონტროლს და **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტისთვის** მიყენებულ დანაკარგზე, რომელიც წარმოიშვება ასეთი გარემოების შედეგად;

(გ) **კლიენტი** ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად და თავის ხარჯზე წარუდგინოს მიმღებ მხარეს **ბანკის** ოფიციალური ამონაწერი, რომელიც ადასტურებს, რომ ოპერაცია შესრულდა **ბანკის** მიერ **კლიენტის** დავალების საფუძველზე **Cryptal Hot Wallet**-ის ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

10.3. Cryptal Hot Wallet-ის ინფრასტრუქტურის გამოყენებიდან გამომდინარე ყველა ოპერაციული, ტექნოლოგიური, კიბერუსაფრთხოების და მესამე პირის („third-party service provider") რისკი განიხილება როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით („**USDT**-თან დაკავშირებული სპეციფიკური რისკები") აღწერილი რისკების განუყოფელი ნაწილი. **ბანკი** ვალდებულია Cryptal-ის მიმართ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დადგენილი გულისხმიერების სტანდარტით იმოქმედოს, თუმცა **ბანკი** არ აგებს პასუხს Cryptal Hot Wallet-ის ინფრასტრუქტურის დროებით ან მუდმივ ხელმიუწვდომლობაზე, ტექნიკურ შეფერხებაზე, კიბერშეტევაზე, smart contract-ის ექსპლოიტზე, ოპერაციულ შეცდომაზე ან სხვა მიზეზზე, რომელიც **ბანკისგან** დამოუკიდებლად წარმოიშვა Cryptal-ის ინფრასტრუქტურის დონეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შედეგი გამოწვეულია **ბანკის** მხრიდან გამიზნული ქმედებით ან უხეში დაუდევრობით (gross negligence).

11. **მონაცემთა გადაცემა Cryptal-სთვის:**

11.1. ბანკის მიერ Cryptal-თვის გადაცემული ინფორმაცია მათ შორის გულისხმობს შემდეგ რეკვიზიტებს რომელიც აუცილებელია ბლოკჩეინის ქსელში ტრანზაქციის შესრულებისათვის:

(ა) **მიმღები საფულის მისამართი** (Destination Wallet Address) — **კლიენტის** მიერ მითითებული კრიპტო საფულის ალფანუმერული მისამართი, რომელზეც უნდა გადაირიცხოს აქტივი;

(ბ) **ოპერაციის თანხა** (amount) — გადასარიცხი **კრიპტო აქტივის** ოდენობრივი გამოხატულება;

(გ) **აქტივის ტიპი** (asset) — გადასარიცხი **კრიპტო აქტივის** სახეობა (კონკრეტულ შემთხვევაში — **USDT**);

(დ) **ბლოკჩეინის ქსელის მითითება** (blockchain / network) — ქსელი, რომელშიც ხორციელდება ტრანზაქცია (კონკრეტულ შემთხვევაში — Binance Smart Chain / BEP-20).

12. **შეზღუდვები**

12.1. **ბანკი** უფლებამოსილია შეზღუდოს **კრიპტო აქტივის** ყიდვა/გაყიდვის ოპერაცი(ები)ა, უარი თქვას **კლიენტის** მიერ ინიცირებული **კრიპტო აქტივის ყიდვა/გაყიდვის** ოპერაციის შესრულებაზე ან სხვაგვარად შეუზღუდოს **კლიენტს** წვდომა **ბანკის** მფლობელობაში არსებულ **კრიპტო აქტივებზე,** ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მიზეზის არსებობისას:

12.1.1. **ბაზარზე** არასაკმარისი ლიკვიდობა;

12.1.2. **ბანკში** არსებულ **კლიენტის** მიმდინარე **ანგარიშზე** არ არის საკმარისი თანხა **კრიპტო აქტივის** საყიდლად ან **კლიენტის** საკუთრებაში არ არის საკმარისი **კრიპტო აქტივი დ**ავალებით მოთხოვნილი ოდენობით **კრიპტო აქტივის** გასაყიდად.

12.1.3. **კლიენტს** არ აქვს საკმარისი ოდენობის **კრიპტო აქტივი** ან და თანხა **ბანკის** მიერ მისაღები საკომისიოს გადასახდელად.

12.1.4. **ბანკს** აქვს ეჭვი, რომ **კლიენტის დავალება** არალეგიტიმურ მიზნებს ემსახურება

12.1.5. **კლიენტი** არღვევს წინამდებარე პირობებს ან სავაჭრო წესებს (როგორიც შეიძლება მათ შორის იყოს, საბაზრო მანიპულაცია ან **კრიპტო აქტივების ყიდვა გაყიდვის** ოპერაციების შესაძლებლობის ბოროტად გამოყენება);

12.1.6. **კლიენტის** მხრიდან თაღლითობის, არაკეთილსინდისიერი ქმედების, კანონდარღვევის, AML რისკების არსებობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

12.1.7. **ბანკს** აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ **კლიენტის** მიერ წარდგენილი დავალება შეიძლება საზიანო იყოს **ბანკისათვის.**

12.1.8. **საბანკო** სისტებ(ები)ა ან რომელიმე **მესამე მხარის** სერვისი რომლის გამოყენებითაც **ბანკი** უზრუნველყოფს ოპერაციების შესრულებას, მიუწვდომელია (მაგალითად, ტექნიკური შეფერხებების გამო);

12.1.9. აღნიშნული მოთხოვნილია რეგულატორის მიერ.

12.2. **ბანკი** უფლებამოსილია შეზღუდოს ან გააუქმოს უკვე შესურლებული **კრიპტო აქტივის** ყიდვის/გაყიდვის ოპერაცია, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას (მაგ. მომსახურების შეფერხების გამო), რის შედეგადაც ოპერაცია შესრულდა წინამდებარე პირობებში ან სავაჭრო წესებში გაუთვალისწინებელი გზით. ასეთ შემთხვევებში, **ბანკი** უფლებამოსილია მიიღოს ყველა გონივრული ნაბიჯი იმისთვის, რომ აღადგინოს როგოც საკუთარი ისე, **კლიენტის** ან/და სხვა დაზარალებულების ინტერესები.

12.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ დანაკარგებზე, რაც შეიძლება **კლიენტმა** განიცადოს თუ თქვენი **კრიპტო აქტივის** ყიდვის/გაყიდვის ოპერაცია შესრულდა **დავალების** ინიცირებისაგან გავსხავებულ ფასში.

12.4. **ბანკის** მიერ შესრულებული **კრიპტო აქტივის** ყიდვის/გაყიდვის ოპერაცია არ ექვემდებარება **კლიენტის** მოთხოვნით შეცვლას ან გაუქმებას, თუ **ბანკის** მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

13. **მხარეთა პასუხისმგებლობა**

13.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

13.2. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

13.3. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის ასეთი საფრთხის არსებობის) შემთხვევაში დაბლოკოს **კლიენტის კრიპტო აქტივები** ან/და საკუთარი შეხედულებისამებრ უზრუნველყოს **კრიპტო აქტივების** გაყიდვა და შესაბამისი საფასური მიაქციოს ვალდებულებების დასაფარად;

13.4. **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკის მომსახურე კრიპტო საფულის** კომერციული კურსით და ღირებულება მიმართოს **კლიენტის ბანკის** წინაშე არსებული ან/და მესამე პირების წინაშე წარმოშობილი **კლიენტის** ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

13.5. **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვალდებულებები გაქვითოს **კლიენტის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში.

14. **პასუხისმგებლობის შეზღუდვა**

14.1. იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** მოქმედებს **კლიენტის** დავალებით **კრიპტო აქტივების** ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების შესრულებისას, **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან **მესამე მხარის** მიერ წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან, ასევე **კლიენტი** აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა **კრიპტო აქტივების** ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების შესრულების ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენების შედეგად, ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიქმნა **კლიენტის** მიერ შესრულებული ოპერაციის შედეგად; **კლიენტი** აღიარებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება **ბანკის** მიერ მიღებული **დავალებების** და **კლიენტის** ავტორიზაციის შესაბამისად ამ პირობების მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისათვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება **მომსახურების** ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.

14.2. **კლიენტი** აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი / მისი შესრულება, ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.

14.3. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **კლიენტის** მიერ **კრიპტო აქტივის ყიდვა/გაყიდვასთან** დაკავშირებული **დავალების** შეუსრულებლობისთვის ან/და შესრულების დაყოვნებისთვის **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი თუ: (ა) სრულად და ჯეროვნად არ არის შევსებული **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები **დავალების** შესასრულებლად; (ბ) **დავალება** ვერ შესრულდა **ბანკის** მომსახურე **ცხელი საფულის** მიზეზით მათ შორის და არა მარტო, მომსახურე **ცხელი საფულის** მიერ **დავალების** შესრულებისათვის საჭირო მოქმედებების შეუსრულებლობის ან/და დაყოვნების გამო (გ)დავალება ვერ შესრულდა **ბანკისგან** დამოუკიდებელი სხვა მიზეზით, მათ შორის და არა მარტო, თუ სახეზეა სხვა რაიმე შეზღუდვა; (დ) **დავალების** შეუსრულებლობა ხდება **ბანკის** ან/და **მესამე პირების** (მათ შორის ცხელი საფულის) მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ან/და სხვა მიზნით.

14.4. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი მათ შორის, კრიპტო ატივის ყიდვა გაყიდვის დავალების შესრულებისთვის დადგენილი ხარჯების ცვლილებისთვის (მათ შორის

საკომისიოს ცვლილებისთვის), თუ აღნიშნული ცვლილება განხორციელდა მომსახურე **ცხელი საფულის** მიერ ან/და ბლოკჩეინის საკომისიოს ცვლილებით.

14.5. ამ **ხელშეკრულების** პირობების მიუხედავად, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა **კრიპტო აქტივების ყიდვა-გაყიდვასთან** დაკავშირებით. ასევე გამორიცხულია **ბანკის** პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ შესაძლებლობებთან/პროდუქტებთან/მომსახურებებთან.

14.6. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება **ბანკის** აღმასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია **ბანკის** ან ზემოაღნიშნული პირების გამიზნული მოქმედებით.

14.7. **კრიპტო აქტივის ყიდვა გაყიდვის** ოპერაციების შესრულებისას **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე,** რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე**. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, წვდომის კოდეების, ავტორიზაციის მონაცემების, ავთენტიფიკატორი ელემენტების (მათ შორის ტელეფონის ან პაროლების) უსაფრთხოებაზე. **კლიენტმა** არ უნდა დატოვოს დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ.

14.8. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ: **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი, **კლიენტმა ბანკს** მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია ან/და **კლიენტსა** და **ბანკს** შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო **მესამე მხარე.**

14.9. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ტექნიკურ ხარვეზზე, რომელმაც გამოიწვია **კლიენტის დავალების**/განაცხადის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

14.10. **ბანკი** არ აგებს პასუხს **კლიენტის** მიერ მომსახურების მიუღებლობაზე ან/და არაჯეროვან მიღებაზე, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** არ გაეგზავნა/არ მიუღია ერთჯერადი კოდი, რაც, მათ შორის, შესაძლოა გამოწვეული იყოს მობილური სატელეფონო მომსახურების მიმწოდებლის მომსახურების ხარვეზით ან/და სხვა გარემოებით.

14.11. ამ მუხლში აღნიშნული **პირობები** ძალაში დარჩება **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაშიც.

15. **ხელშეკრულების ცვლილება**

15.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისათვის** წინასწარ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად **(კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს წინამდებარე პირობები, ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

15.2. პირობებით განსაზღვრული **კრიპტო აქტივის ყიდვა-გაყიდვის** ტარიფების ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ;

15.3. **ხელშეკრულებაში** ან პირობებში ხორციელდება ახალი მომსახურების, საბანკო პროდუქტის ან დისტანციური საბანკო მომსახურების არხის დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის პირობებში არსებულ **მომსახურებებს.**

15.4. ცვლილება გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნიდან ან/და **ბანკის** ზედამხედველი/ მარეგულირებელი/ მაკონტროლებელი ორგანოს მითითებიდან;

15.5. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს,** წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **კლიენტი** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

15.6. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ამასთან თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული

კლიენტის მხრიდან განცხადებაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.

15.7. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზეზით **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის **კლიენტს** არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარიმო საკომისიო ან/და დამატებითი პირგასამტეხლო **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტისათვის.

15.8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება შეცვლილი პირობების ტექსტის **ბანკის** ვებგვერდზე - www.silkbank.ge განთავსების გზით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ინფორმირება დაგეგმილი ან არსებული ცვლილების შესახებ მოახდინოს კომინიკაციის ერთი ან რამდენიმე ფორმით. **კლიენტი** თავად არის ვალდებული პერიოდულად შეამოწმოს **ბანკის** ვებ-გვერდი და გაეცნოს პირობებში ცვლილებებს.

16. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა**

16.1. **ხელშეკრულება** ძალაშია ამ **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად მის შეწყვეტამდე.

16.2. **ხელშეკრულების** მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი მოქმედების განახლების შემთხვევაში **კლიენტზე** გავრცელდება წინამდებარე **პირობები,** ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.

16.3. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ ზოგიერთი სახის საბანკო პროდუქტით მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ **მომსახურებასთან** დაკავშირებით.

16.4. **ბანკს** უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი **ხელშეკრულება** ნებისმიერ დროს.

16.5. თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შეექმნება საფრთხე, ბანკი შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს **კლიენტს კრიპტო აქტივის ყიდვა-გაყიდვის** ოპერაციის შესრულებაზე და გააუქმებს **ხელშეკრულებას,** და მოითხოვს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტას.

16.6. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს **ხელშეკრულება ბანკისთვის** 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნულ ვადაზე ადრეც.

16.7. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულება** არ შეწყვიტოს მანამ სანამ **კლიენტი ბანკთან** ფლობს **კრიპტო აქტივებს.** ამასთან **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** შეწყვეტის მოთხოვნა უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** მიიღოს აღნიშნული **კლიენტის** მხრიდან, **ბანკის** ფლობაში არსებული **კლიენტის კრიპტო აქტივების** გაყიდვის დავალებად და **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ გაყიდვის მომენტში არსებული შესაბამისი **კრიპტო აქტივის** საბაზრო კურსის (სახელმძღვანელოდ გამოიყენება იმ მომენტისათვის **ბანკის მომსახურე კრიპტო საფულის** მიერ **ბანკისათვის** დადგენილი კურსის ოდენობა) შესაბამისად გაყიდოს **კლიენტის** საკუთრებაში არსებული **ბანკის** მფლობელობაში მყოფი **კრიპტო აქტივები.** ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად არცერთ შემთხვევაში **ბანკს** არ დაეკისტრება ვალდებულება ამ დებულებით განსაზღვრული პირობებით **კლიენტის კრიპტო აქტივის** გაყიდვის გამო **კლიენტის** ნებისმიერ დანაკარგზე ზიანზე/ზარალზე და **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი სადავო გახადოს **კრიპტო აქტივის** გაყიდვის დრო ან/და ღირებულება.

17. **მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა**

17.1. წინამდებარე **პირობები** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად.

17.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

17.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით.

18. **დასკვნითი დებულებები**

18.1. ახალი **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს **ბანკის** მიერვე მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

18.2. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის კანონმდებლობის საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

18.3. **კლიენტი** არარის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირებისაგან მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

18.4. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მესამე პირებს დაუთმოს/გადასცეს პირობებით განსაზღვრული უფლებები ან/და მოვალეობები. ამასთან თუ **ბანკი** ისარგებლებს ან დააპირებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის** აქრივების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებს.

18.5. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე,** მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

18.6. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

18.7. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

18.8. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.

18.9. წინამდებარე **პირობებს** ენიჭება უპირატესი ძალა **მხარეთა** შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და **ხელშეკრულებასთან** შედარებით.

18.10. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის პირობებს უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ ხელშეკრულებასთან და მის პირობებთან მიმართებაში.

დანართი N1

1. კრიპტო აქტივის ყიდვა/გაყიდვა

ლიმიტები					
#		კრიპტო აქტივის ყიდვის ლიმიტი ლარში	კრიპტო აქტივის ყიდვის ლიმიტი აშშ დოლარში	კრიპტო აქტივის გაყიდვის ლიმიტი ლარში	კრიპრო აქტივის გაყიდვის ლიმიტი დოლარში
1.	**კლიენტის ჭრილში ოპერაციის ერთჯერადი ლიმიტი:**	მინიმალური - 5 ლარი; მაქსიმალური 10 000 ლარი:	მინიმალური - 5 USD; მაქსიმალური 10 000 ლარის ექვივალენტი დოლარში:	მინიმალური: 5 ლარი მაქსიმალური: არ არის შეზღუდული	მინიმალური: 5 დოლარი მაქსიმალური: არ არის შეზღუდული
2.	**კლიენტის ჭრილში ოპერაციის დღიური ლიმიტი:**	მინიმალური - 5 ლარი; მაქსიმალური - 50 000 ლარი;	მინიმალური - 5 USD; მაქსიმალური - 50 000 ლარის ექვივალენტი დოლარში	მინიმალური: 5 ლარი მაქსიმალური: არ არის შეზღუდული	მინიმალური: 5 დოლარი მაქსიმალური: არ არის შეზღუდული
3.	**კლიენტის ჭრილში ოპერაციის ყოველთვიური ლიმიტი:**	მინიმალური - 5 ლარი; მაქსიმალური - 200 000 ლარი;	მინიმალური - 5 USD; მაქსიმალური - 200 000 ლარის ექვივალენტი დოლარში USD;	მინიმალური: 5 ლარი მაქსიმალური: არ არის შეზღუდული	მინიმალური: 5 დოლარი მაქსიმალური: არ არის შეზღუდული
4.	**კლიენტის ჭრილში ოპერაციის წლიური ლიმიტი:**	მინიმალური - 5 ლარი; მაქსიმალური - 500 000 ლარი;	მინიმალური - 5 USD; მაქსიმალური - 500 000 ლარის ექვივალენტი დოლარში ;	მინიმალური: 5 ლარი მაქსიმალური: არ არის შეზღუდული	მინიმალური: 5 დოლარი მაქსიმალური: არ არის შეზღუდული
საკომისიო					
*საკომისიო თითოეული ყიდვის/გაყიდვის ოპერაციისათვის შეადგენს ყიდვის/გაყიდვის ოპერაციის ღირებულების 1%-ს შესაბამის ვალუტაში.					

2. კრიპტო აქტივის გადარიცხვა/გადაცემა

ლიმიტები		
1.	მინიმალური:	5 დოლარი
2.	ერთჯერადი გადარიცხვის ლიმიტი:	1000 დოლარი
3.	დღის ლიმიტი:	3000 დოლარი
4.	თვის ლიმიტი:	10000 დოლარი
საკომისიო:		
USD/USDT კონვერტაციის კურსი:		1$=0.98USDT
USDT გადაცემის საკომისიო:		1$